977/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი—დეკემბერი

1977 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1977 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

102. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 11 აგვისტოს № 735 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

103. სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით გათვალისწინებული პირობებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

104. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალციხისა და ცხინვალის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების შექმნის შესახებ.

105. ლიმონის შესასყიდი ფასების დამტკიცების შესახებ.

106. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კ. დ. ერისთავის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

107. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სუვენირებისა და ხალხურ სარეწთა ნაკეთობების წარმოების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. საქართველოს სსრ მინისტრთა

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ

№ 6
ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს 1974 წლის 16 აპრილის № 186 დადგენილების შესრულების მიმდინარეობისა თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 19 მარტის № 192 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

108. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის საკითხები.

109. რესპუბლიკის მოსახლეობის პირად სარგებლობაში არსებული მოტოველონაწარმის რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

110. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

111. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

102 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 11 აგვისტოს № 735 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„გადასახადთა და სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა გადასახდელთა საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 11 აგვისტოს № 735 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1945 წლის 22 აგვისტოს „ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოთა მიერ ფართო მოხმარებისა და სასურსათო საქონლის გამოშვების გადიდების ღონისძიებებზე“ მიღებული № 2139 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 28 სექტემბრის № 1245 დადგენილების 29-ე პუნქტი სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოებისათვის გადასახადთა შეღავათების ნაწილში;

ბ) მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 15 ოქტომბრის № 1219 დადგენილებისა „საქართველოდან სსრ კავშირის სხვა რაიონებში ციტრუსოვანი და სუბტროპიკული კულტურების, მათ შორის ევკალიპტის, გაზიდვასა და გავრცელებაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 6 ოქტომბრის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 15 ნოემბერი, № 784.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

103 სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით გათვალისწინებული პიროგებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული წინადადება იმის შესახებ, რომ 1977 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მუშაობა განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 140 დადგენილებით დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით (გარდა 109-113-ე პუნქტებისა) გათვალისწინებული პირობებით.

2. დამტკიცდეს:

— დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის მუშაკთა პრემირების წესის შესახებ;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების დამატებითი პირობები;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის მუშაკთა პრემირების, მათთვის მატერიალური დახმარების გასაწევად, საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად წახალისების ცენტრალიზებული ფონდებიდან ანარიცხების ნორმატივები, აგრეთვე კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიების ოდენობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 15 ნოემბერი, № 749.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 15 ნოემბრის № 749
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების წესის შესახებ

1. დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების წესის შესახებ შემუშავებულია სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის მუშაკთა პრემირების წესის ტიპობრივი დებულების შესაბამისად, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და საკავშირო პროფსაბჭომ დაამტკიცეს 1974 წლის 13 მარტს.

დებულება პრემირების შესახებ შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება წარმოების შემდგომი განვითარებითა და სრულყოფით, ნაბეჭდ პროდუქციაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფით, ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და მისი თვითღირებულების შემცირებით, მატერიალური, შრომითი და ფინანსური დანახარჯების ეკონომიით.

2. კომიტეტის ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს პრემიები მიეცემათ ქვემოჩამოთვლილი მაჩვენებლების მიხედვით კვარტალური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის:

— გამომცემლობების ხაზით — წლიური თემატიკური გეგმით გათვალისწინებულ დასახელებათა რაოდენობის მიხედვით ლიტერატურის გამოცემის გეგმის შესრულებისათვის; საგამომცემლო პროდუქციის რეალიზაციისათვის;

—მრეწველობის ხაზით — პოლიგრაფიული პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და საერთო რენტაბელობის დონის ამაღლებისათვის;

— ვაჭრობის ხაზით — საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებისათვის.

კომიტეტის ხელმძღვანელობა შეიმუშავებს და დაამტკიცებს საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით

ტიპობრივ დებულებას კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების შესახებ მათი საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების გათვალისწინებით (ფასთა მომცემლობის, მრეწველობის, ვაჭრობის ხაზით და სხვ.).

კომიტეტის ხელმძღვანელობა ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების საკითხს გადაწყვეტს საანგარიშო კვარტალში სახალხო--სამეურნეო გეგმის ნომენკლატურის პროდუქციის ცალკეული სახეობების დავალებათა შეუსრულებლობის შემთხვევებში, თუ ამ სახეობათა ნომენკლატურის პროდუქცია დამზადდა და რეალიზებულია წინა პერიოდში ან მოიხსნა წარმოებიდან მომხმარებლის (შემკვეთის) მოთხოვნით, რაც დაამტკიცა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა.

3. ამ დებულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პრემირების პირობებთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის დაწესდება პრემირების დამატებითი პირობები.

პრემირების დამატებითი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკებს პრემიები შეუმცირდებათ ამ პირობების შესრულების დონის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 50 პროცენტისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის მუშაკთა პრემირებისას მხედველობაში მიიღება პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულება რაოდენობის მიხედვით, დაწესებულ ვადებში და ნომენკლატურის (ასორტიმენტის) თანახმად, დადებული ხელშეკრულებებისა და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა შეკვეთა-განრიგების შესაბამისად. პროდუქციის მიწოდების აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას ცენტრალური აპარატის მუშაკებს პრემიები შეუმცირდებათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკებს პრემიები მიეცემათ მთლიანად კომიტეტის ხაზით მატერიალური წახალისების საერთო ფონდის ფარგლებში წარმოქმნილი მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის ხარჯზე. აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან გამოსაყოფი სახსრების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის მუშაკთა პრემირების სახსრების ნორმატივების განსაზღვრისას ამ ნორმატივების დამტკიცების პირველ წელს აიღება სახსრები კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების მიხედვით მათი ხელფასის ფონდის 15 პროცენტის ოდენობით.

5. თუ საშუალო ხელფასის ზრდა უსწრებს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკებისათვის დარიცხული პრემიის თანხა შემცირდება 1 პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზრდაზე საშუალო ხელფასის ზრდის გადამეტების ყოველ პროცენტში.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიების ოდენობა ამ დებულების თანახმად პრემირების პირობებით გათვალისწინებული მაჩვენებლების მიხედვით გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის დაწესდება ყოველწლიურად იმ სახსრების ფარგლებში, რომლებიც გამოყოფილია აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის მოცემულ წელს.

ამასთან კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთათვის პრემიების ოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით. ამ მუშაკთა პრემიების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის პრემიების საშუალო ოდენობას (მათი თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის დანარჩენი მუშაკებისათვის პრემიების ოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პროფკავშირის აღგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

7. კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის დარიცხული პრემიები შემცირდება 0,5 პროცენტით თითოეული საქვეუწყებო საწარმოსათვის, რომელსაც არ შეუსრულებია მისთვის დაწესებული ძირითადი საგეგმო დავალებანი (პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა, მოგება, შრომის ნაყოფიერება, საცალო საქონელბრუნვა) ან სახალხო-სამეურნეო გეგმის პროდუქციის (წიგნები, გაზეთები, ჟურნალები) ნომენკლატურის დავალება.

ასეთივე წესით კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლია შეუმციროს პრემიები ცენტრალური აპარატის შესაბამის მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან, რათა საწარმოებმა შეასრულონ მათთვის დაწესებული საგეგმო დავალებანი.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვისას კომიტეტის ხელმძღვანელობას, აგრეთვე განყოფილებათა ხელმძღვანელებსა და მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის, დარიცხული პრემიები არ მიეცემათ. ამასთან კომიტე-

ტის ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვა გამოიანგარიშება როგორც საქვეყნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით ამ ფონდის შედარებითი გადახარჯვის (ეკონომიის) თანხა.

თუ კომიტეტში დაშვებული ხელფასის ფონდის გადახარჯვა ანაზღაურდება დაწესებულ ვადაში (6 თვემდე), აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ იმ პრემიის 50 პროცენტი, რომელიც დარიცხული იყო, მაგრამ არ გაცემულა ხელფასის ფონდის გადახარჯვასთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ხაზით საანგარიშო პერიოდში დაშვებულია ხელფასის ფონდის გადახარჯვა, მაგრამ კალენდარული წლის დაწყებიდან გასულ პერიოდში მიღებულია საკმარისი ეკონომია ხელფასის ფონდის გადახარჯვის შესავსებად, კომიტეტის აღნიშნულ მუშაკებს დარიცხული პრემიები მთლიანად მიეცემათ.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებს პრემიები მიეცემათ ყოველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ამ პერიოდში გასაცემად დარიცხული პრემიის 75 პროცენტის ოდენობით. პრემიის დანარჩენი 25 პროცენტი გაიცემა სრული ოდენობით სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით გასამრჯელოს სახით იმის კვალობაზე, თუ როგორ შესრულდება მთლიანად წლის განმავლობაში ამ დებულებით გათვალისწინებული პრემირების პირობები.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლია გაადიდოს ან შეამციროს მუშაკის პირადი წვლილისა და მუშაობის ხარისხის გათვალისწინებით მისთვის დარიცხული პრემიის ოდენობა, მაგრამ არა უმეტეს 25 პროცენტისა. მუშაობაში სერიოზული ხარვეზებისათვის მუშაკს შეიძლება მთლიანად ჩამოერთვას პრემია, რაც გაფორმდება თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობას პრემიის ოდენობას ამგვარადვე გაუდიდებს (შეუმცირებს) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. ამ დებულების შესაბამისად ერთი მუშაკისათვის მიცემული პრემიების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 4 თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

12. პრემიებს დაამტკიცებენ:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის დანარჩენი მუშაკებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

13. მუშაკებს, რომლებსაც არ უმუშავიათ მთელი კვარტალი საბჭოთა ინ-მიის რიგებში გაწვევასთან, სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან, სასწავლებელში მოწყობასთან, პენსიაზე გადასვლასთან, სამუშაოდან დათხოვნასთან, შტატების შემცირებასთან დაკავშირებით და სხვა საპატიო მიზეზების გამო, პრემიები დაერიცხებათ ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის.

14. ამ დებულების შესაბამისად პრემირების პირობებით გათვალისწინებულ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაცემული პრემიები მხედველობაში მიიღება მომუშავის საშუალო ხელფასის გამოანგარიშებისას.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის მუშაკებს პრემიები დაერიცხებათ საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 15 ნოემბრის № 749
დადგენილებით

ნორმატივები

წახალისების ცენტრალიზებული ფონდების ანარიცხებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის, მათთვის მატერიალური დახმარების გასაწევად, საბინაო პირობებისა დ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად

1. პრემირებისათვის და მატერიალური დახმარების გასაწევად.	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ხაზით მატერიალური დახმარების ფონდის 3,085 პროცენტი;
2. საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდის 30,85 პროცენტი.

პრემიების ოდენობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის

1. დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით კვარტალური გეგმის შესრულებისათვის	— თანამდებობრივი სარგოს 15 პროცენტი;
2. დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პუნქტისათვის:	
ა) გამომცემლობებში:	
— პროდუქციის რეალიზაცია	— თანამდებობრივი სარგოს 0,2ჩ პროცენტი;
— დაგეგმილი ზარალის შემცირება	— თანამდებობრივი სარგოს 0,06 პროცენტი;
ბ) პოლიგრაფიულ საწარმოებში:	
— პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა	— თანამდებობრივი სარგოს 0,23 პროცენტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შრომის ნაყოფიერების ზრდა	— თანამდებობრივი სარგოს 0,46 პროცენტი;
— საერთო რენტაბელობის დონე	— თანამდებობრივი სარგოს 0,46 პროცენტი;
გ) წიგნის ვაჭრობის საწარმოებში:	
— საერთო საქონელბრუნვა	— თანამდებობრივი სარგოს 0,11 პროცენტი;
— მოგება	— თანამდებობრივი სარგოს 0,10 პროცენტი;
დ) სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში;	
— მოგება	— თანამებობრივი სარგოს 0,06 პროცენტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 15 ნოემბრის № 749
დადგენილებით

პრემირების დამატებითი პირობები,

რომელთა დარღვევის შემთხვევაში პრემიების ოდენობა შეუმცირდებათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებს

1. ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული დონის ამაღლება.

2. პოლიგრაფიული მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხი.

3. მოსახლეობისაგან წიგნების შესყიდვის გეგმის შესრულება.

4. კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულება და ობიექტების ხარისხიანად გადაცემა საექსპლუატაციოდ დაწესებულ ვადებში.

---

104 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალციხისა და ცხინვალის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების შექმნის შესახებ

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საშუალო რგოლის სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისა და „საშუალო სპეციალური სასწავლებლებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისა და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აგვისტოს № 656 დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის ახალციხისა და ცხინვალის სანერგე მეურნეობები გარდაიქმნას სანერგე საბჭოთა მეურნეობებად.

2. ახალციხისა და ცხინვალის სანერგე საბჭოთა მეურნეობებისა და ახალციხისა და ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ბაზაზე შეიქმნას ახალციხისა და ცხინვალის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმები.

3. ახალციხისა და ცხინვალის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმებმა თავისი საქმიანობა წარმართონ საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების დებულების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1965 წლის 7 აგვისტოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

4. ახალციხისა და ცხინვალის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმები შეიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 1977 წელს დამტკიცებული მმართველობის აპარატის რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და შესანახი ხარჯების ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 15 ნოემბერი, № 752.

ეროვნული ბიბლიოთეკა

105 ლიმონის შესასყიდი ფასების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ საკავშირო ორგანოებმა დააწესეს ლიმონის საცალო ფასები წონის მიხედვით, დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ, მოყოლებული 1977 წლის მოსავლიდან, კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან, აგრეთვე მოსახლეობისაგან შესყიდული ლიმონის შემდეგი შესასყიდი ფასები:

	(ტონა — მანეთობით)
სტანდარტული ლიმონი	— 2.000;
არასტანდარტული ლიმონი	— 300.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 მარტის № 110 დადგენილებით დამტკიცებული ლიმონის შესასყიდი ფასები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 16 ნოემბერი, № 761.

106 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კ. დ. ერისთავის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კონსტანტინე დავითის ძე ერისთავის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეკუთვნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კ. დ. ერისთავის სახელი:

—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს;

— ვანის რაიონის სოფელ კიროვის (ყოფილი სალომინაო) საშუალო სკოლას.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— გამოსცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კ. დ. ერისთავის ნაშრომთა კრებული;

— დადგას კ. დ. ერისთავის საფლავზე განსვენებულის ბიუსტი.

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა კ. დ. ერისთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაარსდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კ. დ. ერისთავის სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტისათვის 65 მანეთის ოდენობით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 24 ნოემბერი, № 778.

107 „საქართველოს სს რესპუბლიკაში სუვენირებისა და ხალხურ სარეწთა ნაკეთობების წარმოების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 16 აპრილის № 186 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 19 მარტის № 192 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 19 მარტის № 192 დადგენილებაში „საქართველოს სს რესპუბლიკაში სუვენირებისა და ხალხურ სარეწთა ნაკეთობების წარმოების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 16 აპრილის № 186 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“ ცვლილებანი და მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის მხატვრული დონის არსებითი ამაღლებისა და მათი წარმოების უკეთ კოორდინაციის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 16 აპრილის № 186 დადგენილების განსავითარებლად, შეიქმნას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის რესპუბლიკური სამხატვრო-საექსპერტო საბჭო მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის თავმჯდომარეობით და სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის ხარისხისა და მხატვრული დონის კონტროლის სახელმწიფო ინსპექცია სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის გამომშვები სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოების მიერ სახსრების გადარიცხვის ხარჯზე, თანდართული გაანგარიშების შესაბამისად“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 19 მარტის № 192 დადგენილების დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაანგარიშება სუვენირების, მხატვრულ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის გამომშვები სამინისტროებისა და უწყებების ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ანარიცხებისა, რაც უნდა გადაერიცხოს სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის ხარისხისა და მხატვრული დონის კონტროლის სახელმწიფო ინსპექციას მის შესანახად“.

2. დამტკიცდეს დებულება სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის ხარისხისა და მხატვრული დონის კონტროლის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ და დებულება სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის სამხატვრო-საექსპერტო საბჭოს შესახებ.

3. ძალაში დარჩეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 19 მარტის № 192 დადგენილებით დამტკიცებული ინსპექციის საშტატო განრიგი, ამასთან მისი სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საშტატო განრიგი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის ხარისხისა და მხატვრული დონის კონტროლის სახელმწიფო ინსპექციისა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 24 ნოემბერი, № 780

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 24 ნოემბრის № 780
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის რესპუბლიკური სამხატვრო-საექსპერტო საბჭოს შესახებ

1. სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის რესპუბლიკური სამხატვრო-საექსპერტო საბჭო არის უმაღლესი ორგანო, რომელიც შეაფასებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს მიერ გამოშვებული სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის იდეურ შინაარსსა და მხატვრულ ღირსებებს და დაამტკიცებს მათს ნიმუშებსა და ეტალონებს.

2. სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის რესპუბლიკური სამხატვრო-საექსპერტო საბჭო:

ა) გასცემს პროდუქციის გამოშვების ნებართვას არსებული ან სავარაუდო მოთხოვნილების გათვალისწინებით.

საბჭოს გადაწყვეტლიების გარეშე პროდუქციის გამოშვება არ შეიძლება;

ბ) კოორდინაციას გაუწევს მუშაობას სხვადასხვა საწარმოს მიერ სამრეწველო-მხატვრულ ნაკეთობათა გამოშვებისათვის, აღმოფხვრის დუბლირებას ამ საქმეში;

გ) გააერთიანებს ღონისძიებებს მეცნიერულად შემუშავებული რეკომენდაციებისა და სამეცნიერო დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტების საფუძველზე სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის გამოსაშვებად;

დ) განახორციელებს საერთო ზედამხედველობას ხალხურ ხელმარჯვე ოსტატთა პროდუქციის წარმოებისადმი და დაამტკიცებს ამ პროდუქციის სახეობათა ნუსხას;

ე) განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს დასამზადებელ ნაკეთობათა ეროვნული ხასიათის შენარჩუნებას და მათი მრავალფეროვნების უზრუნველყოფას;

ვ) კონტროლს გაუწევს მხატვრული პროდუქციის გამომშვებ საწარმოთა სამხატვრო საბჭოების საქმიანობას, თვალყურს ადევნებს ნაკეთობათა ტირაჟიანობისა და ნომენკლატურის დაცვას.

3. სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის რესპუბლიკური სამხატვრო-საექსპერტო საბჭოს შემადგენლობაში შედიან მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ცალკეულ სახეობათა სპეციალისტები, რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი. საბჭოს სათავეში უდგას კულტურის მინისტრის მოადგილე. სამხატვრო-საექსპერტო საბჭოს მუშაობა ხორციელდება დადგენილი წესით.

ძ. მარქსის სახ. ს.ბ. სსრ
სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 24 ნოემბრის № 780
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის ხარისხისა და მხატვრული დონის კონტროლის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ

1. სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის ხარისხისა და მხატვრული დონის კონტროლის სახელმწიფო ინსპექცია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომლის საშტატო განრიგსა და აპარატის რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

2. ხარისხისა და მხატვრული დონის კონტროლის სახელმწიფო ინსპექცია არის სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაცია, აქვს საანგარიშსწორებო ანგარიში ბანკში და ასრულებს ბანკისა და სალაროს ოპერაციებს. ინსპექციის დაფინანსება ხდება სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის გამომშვებ საწარმოთა სახსრების ანარიცხების ხარჯზე.

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის ხარისხისა და მხატვრული დონის კონტროლის სახელმწიფო ინსპექცია:

— განახორციელებს კონტროლს ყველა იმ სამინისტროსა და უწყების საწარმოების პროდუქციის მხატვრული დონისადმი, რომლებიც უშვებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სუვენირებს, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებს, მხატვრულ-საიუველირო და სხვა სამრეწველო-მხატვრულ პროდუქციას ყველა ბუნებრივი და ხელოვნური მასალისაგან, ოქროსა და ძვირფასი თვლების გარდა;

თვალყურს ადევნებს ნაკეთობათა შესაბამისობას რესპუბლიკური სამხატვრო-საექსპერტო საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიმუშებისადმი, აღკვეთს დაბალი მხატვრული დონის პროდუქციის გამოშვებას, ნაკეთობათა წარმოებას დამტკიცებული ეტალონის გარეშე და რესპუბლიკური სამხატვრო-საექსპერტო საბჭოს ნებადაურთველად;

— აკრძალავს დაბალხარისხოვანი სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის მიწოდებას სავაჭრო ქსელში; ამ მიზნით გასცემს შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს დამტკიცებული ნიმუშებისაგან გადახრით, მოქმედი სტანდარტების, ტექნიკური პირობების, საწარმოო რეცეპტურების, ტექნოლოგიური ინსტრუქციების დარღვევით გამომუშავებული მდარე ხარისხისა და დაბალი მხატვრული დონის პროდუქციის წარმოებიდან მოხსნის შესახებ;

— შეათანხმებს ერთი და იგივე ეტალონის მიხედვით პროდუქციის გამოშვებას საწარმოთა შორის, აღმოფხვრის დუბლირებას ამ საქმეში;

— დააყენებს შესაბამისი ორგანოების წინაშე საკითხს იმის შესახებ, რომ [illegible] ლიკვიდაციისა საწარმოთა ხელმძღვანელებსა და პირებს, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებმაც დაუშვეს სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნების, პროდუქციის მიღებისა და რეალიზაციის ინსტრუქციებისა და დებულებების დარღვევა და დანაშაული მიუძღვით ისეთ ნაკეთობათა გაგზავნისათვის, რომლებიც არ შეესაბამებიან დამტკიცებულ ნიმუშებს, ეტალონებს, ტირაჟიანობას, ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებს (სახელმწიფო სტანდარტებს. რესპუბლიკურ-ტექნიკურ პირობებს, ტექნიკურ პირობებს) და ნომენკლატურას;

— მიიღებს სამინისტროებისაგან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან საინფორმაციო ბიულეტენებს, ბროშურებსა და სხვა ლიტერატურას, რომლებსაც ისინი გამოსცემენ სუვენირებისა და მხატვრული პროდუქციის წარმოების საქმეში გამოცდილების გაზიარების და ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის საკითხებზე;

— ცალკეულ შემთხვევებში განახორციელებს სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ხარისხის შემოწმებას;

— მიიზიდავს ექსპერტებად ინსპექციის მუშაობისათვის განკუთვნილ ცალკეულ დავალებათა შესასრულებლად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სხვა ორგანიზაციების სპეციალისტებს, შემკვეთ საწარმოთა წარმომადგენლებს მათი ხელმძღვანელების ნებართვით.

4. სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის ხარისხისა და მხატვრული დონის კონტროლის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს თანამდებობაზე დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო.

ინსპექციის უფროსი წარმართავს ინსპექციის მთელ მუშაობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებს სამუშაოდ და გაათავისუფლებს სამუშაოდან ინსპექციის თანამშრომლებს.

5. ინსპექციის მუშაკებს უფლება აქვთ დაესწრონ სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის გამომშვებ საწარმოთა და უწყებათა სამხატვრო საბჭოების სხდომებს, წარმოდგენილ იქნენ ყველა იმ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, რომლებიც შეიმუშავებენ და ამტკიცებენ მხატვრული პროდუქციის ტექნიკურ დოკუმენტაციას.

6. ინსპექციის თანამდებობის პირებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლივ შეიღნენ დადგენილი წესით შესაბამის საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და სხვა ობიექტებში თვიანთ სამსახურეობრივ მოვალეობათა შესასრულებლად.

7. შემოწმებათა პროცესში ინსპექციის თანამდებობის პირებს საჭიროების კვალობაზე დადგენილი წესით მიეცემათ უფლება შეარჩიონ მზა ნაკეთობათა, მათი წარმოებისათვის გამოყენებული ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების ნიმუშები, რათა აიღონ სინჯები და გაუგზავნონ ისინი შესაბამის ლაბორატორიებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს გამოცდისა და ანალიზისათვის. ამასთან ნიმუშებისა და წარმოებულ სამუშაოთა ღირებულება ანაზღაურდება შესაბამის საწარმოთა და ორგანიზაციათა ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სუვენირების, ხალხურ სარეწთა ნაკეთობებისა და სხვა სამრეწველო-მხატვრული პროდუქციის ხარისხისა და მხატვრული დონის კონტროლის სახელმწიფო ინსპექციას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

108 საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული უთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის საკითხები

საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მისი მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გამომცემლობა „მერანის“ თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის ალმანახი „საუნჯე“ გადაეცეს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარ სარედაქციო კოლეგიას სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახთა მთელი მოცულობით, ქაღალდის ფონდით, პოლიგრაფიული ლიმიტებითა და შტატებით.

2. დამტკიცდეს ალმანახ „საუნჯის“ რედაქციის ახალი საშტატო განრიგი მისთვის გამოყოფილ ზღვრულ ასიგნებათა და ხელფასის ფონდის ფარგლებში დანართის თანახმად.

3. მთავარ სარედაქციო კოლეგიას მიეცეს უფლება შექმნას „ბწკარედული თარგმანის ბიბლიოთეკა“, გამონაკლისის სახით მოახდინოს ბწკარედის ავტორის ჰონორარის ანაზღაურება მხატვრული თარგმანის ავტორის ჰონორარისაგან დამოუკიდებლად.

4. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ უზრუნველყოს თამარაშენში ი. მაჩაბლის მემორიალური მუზეუმის — მთავარი სარედაქციო კოლეგიის შემოქმედებითი სახლის შენობის რესტავრაცია და ტერიტორიის კეთილმოწყობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 10 დეკემბერი, № 796.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 10 დეკემბრის № 796
დადგენილების დანართი

ალმანახ „საუნჯის“ რედაქციის საშტატო განრიგი

თანამდებობა	საშტატო ერთეულების რაოდენობა	თვიური ხელფასი (მანეთი)
მთავარი რედაქტორი	1	180
პასუხისმგებელი მდივანი . . .	1	160
რედაქტორი	3	145
უფროსი ტექნიკური რედაქტორი .	1	145
უფროსი კორექტორი	2	100
უფროსი გამომშვები	1	90
მბეჭდავი-მემანქანე	1	95
სულ	10	

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

109 რესპუბლიკის მოსახლეობის პირად სარგებლობაში არსებული მოტოველოსნაწარმის რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

რესპუბლიკის მოსახლეობის პირად სარგებლობაში არსებული მოტოველოსნაწარმის რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს და მის რესპუბლიკურ სპეციალიზებულ სამმართველოს „საქავტოტექმომსახურებას“:

— მოაწყონ 1978 წლის 1 ივნისამდე ქალაქებში თბილისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ქუთაისსა და ფოთში, სიღნაღისა და სამტრედიის რაიონებში მოსახლეობის პირად სარგებლობაში არსებული მოტოველოსნაწარმის რემონტი საქვეუწყებო ავტოტექმომსახურების სადგურებში;

— შეიმუშაონ 1977 წლის ბოლომდე ღონისძიებანი, რათა მოტოველოსნაწარმის შემკეთებელი ავტოტექმომსახურების სადგურები 1978 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე აღიჭურვოს საჭირო მოწყობილობით, აგრეგატებითა და სათადარიგო ნაწილებით შესასრულებელ სარემონტო სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით, აგრეთვე დაიდოს დამამზადებელ ქარხნებთან ხელშეკრულებანი მოტოველოსნაწარმის საგარანტიო მომსახურების თაობაზე;

— ფართო რეკლამა გაუწიონ მომსახურების აღნიშნულ სახეობას, გამოიყენონ ამ მიზნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, პრესა, რადიო და ტელევიზია.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ უზრუნველყონ 1978 წელს და შემდგომ წლებში მოტოველოსნაწარმის სათადარიგო ნაწილების, აგრეგატებისა და კვანძების, აგრეთვე მათი რემონტისათვის საჭირო ჩარხებისა და სხვა მოწყობილობის გამოყოფა და მიღება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს განაცხადების შესაბამისად გათვალისწინებული მოცულობითა და ასორტიმენტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 13 დეკემბერი, № 809.

ეროვნული ბიბლიოთეკა

110 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 მარტის № 137 დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 14 დეკემბერი, № 813.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 14 დეკემბრის № 813
დადგენილებით

დ ე გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად არის რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

„საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 15 ივლისის № 522 დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამეურნეო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის შემდგომი სრულყოფის მეთოდურ მითითებათა შესაბამისად, რომლებიც მოწონებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდების გამოყენების საკითხთა საუწყებათაშორისო კომისიის 1977 წლის 31 მარტის 335-ბ საოქმო გადაწყვეტილებით.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო მოაწყობს და განახორციელებს სახალხო მოხმარების პროდუქციის, სამრეწველო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვას და მგზავრთა გადაყვანას; მოაწყობს დადგენილი წესით ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ავტომობილების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების, საგარაჟო მოწყობილობის დამამზადებელ საწარმოებს; მოამზადებს კადრებს საავტომობილო ტრანსპორტისათვის; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს საავტომობილო ტრანსპორტისა და მოწყობილობის გამოყენების გასაუმჯობესებლად.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო განახორციელებს კონტროლს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნიკური მდგომარეობისადმი, მიუხედავად მისი უწყებრივი დაქვემდებარებისა (სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოტრანსპორტის გარდა), რისთვისაც სამინისტროს უფლება ენიჭება გამოიკვლიოს ავტოტრანსპორტის მუშაობა და შეამოწმოს შესაბამისი დოკუმენტები.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ხელმძღვანელობს და განაგებს მის სისტემაში შემავალ ავტოსატრანსპორტო გაერთიანებებს, სამმართველოებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორებს, ავტომობილებისა და აგრეგატების სარემონტო ქარხნებს და სხვა საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, და შემდგომ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი.

6. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მთელ საქმიანობას. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას საავტომობილო ტრანსპორტის საკითხებზე.

7. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად და შეამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი:

— გააუქმებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

— დანიშნავს თანამდებობაზე და გაათავისუფლებს თანამდებობიდან საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამმართველოთა და განყოფილებათა და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს: მოაწყობს და გააუქმებს დადგენილი წესით საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და საჭირო შემთხვევებში შეცვლის მათ დაქვემდებარებას სამინისტროს ავტოსატრანსპორტო გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციებისადმი. დაამტკიცებს სამინისტროს გაერთიანებათა, სამმართველოთა და განყოფილებათა, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დებულებებსა და წესდებებს.

8. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის (კოლეგიის თავმჯდომარე), მინისტრის მოადგილე-

ების და სამინისტროსა და მისი ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის წარდგენით.

კოლეგია რეგულარულად მოწვეულ თავის სხდომებზე განიხილავს საავტომობილო ტრანსპორტისადმი ხელმძღვანელობის ყველა ძირითად საკითხს, აგრეთვე კადრების შერჩევის, შესრულების შემოწმების საკითხებს, სამინისტროს უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს სამინისტროს ავტოსატრანსპორტო გაერთიანებათა, სამმართველოთა, განყოფილებათა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი განხორციელდება მინისტრის ბრძანებებით.

მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

ა) მოაწყოს და განახორციელოს დამტკიცებული გეგმების შესაბამისად სახალხო მოხმარების პროდუქციის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, სამრეწველო ტვირთების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვა, მგზავრთა რეგულარული გადაყვანა ქალაქებში და ქალაქებს შორის, აგრეთვე მოსახლეობის სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურება;

ბ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საავტომობილო პარკის გამოყენების გაუმჯობესება, ავტომობილების რემონტის ხარისხის ამაღლება, ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირება, მატერიალური რესურსების, მათ შორის ავტომობილის სალტეების, ბენზინისა და სხვა სახის სათბობის, აგრეთვე საოადარიგო ნაწილების რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენება; გაავრცელოს და დანერგოს მუშაობის მოწინავე მეთოდები და ახალი ტექნიკა საავტომობილო ტრანსპორტზე;

გ) განახორციელოს ავტომობილებისა და აგრეგატების სარემონტო ქარხნებისა და სახელოსნოების, ბენზინგასაწყობი სადგურების, სალტეებისა და აკუმულატორების სარემონტო საწარმოების, გარაჟების, საწყობების, ავტოვაგზლების, სატვირთო სადგურებისა და სამგზავრო ავტოსადგურების მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დ) მოამზადოს მძღოლთა შემადგენლობა და მუშები საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებში გამოსაყენებლად;

ე) შეიმუშაოს და გამოსცეს დიფერენცირებული ნორმატივები საერთოსაკავშირო ნორმატივების ფარგლებში, დებულებანი, წესები, ინსტრუქციები და სხვა სახელმძღვანელო მითითებანი ავტომობილების გამოყენების, ტექნი-

Georgian National Parliament Library

კური მომსახურებისა და რემონტის შესახებ, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის, აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის წესები, რომლებიც სავალდებულოა საქართველოს სსრ ყველა ავტოსატრანსპორტო საწარმოსათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა (სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომეურნეობების გარდა);

ვ) დასახოს და განახორციელოს საქვეუწყებო ავტოსატრანსპორტო საწარმოებში ღონისძიებანი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან ბრძოლის გასაძლიერებლად, მძღოლთა შემადგენლობაში შრომის დისციპლინის ასამაღლებლად.

10. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო:

ა) შეადგენს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის, აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის, ავტომობილების, აგრეგატებისა და ავტოსალტეების რემონტის, სამრეწველო საწარმოთა კაპიტალური მშენებლობისა და რემონტის გეგმების, შრომისა და თვითღირებულების გეგმების პროექტებს, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ბალანსებს და დადგენილი წესით წარუდგენს მათ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; უზრუნველყოფს დამტკიცებული გეგმების შესრულებას;

ბ) უზრუნველყოფს სამინისტროსა და მისი ორგანოების გამგებლობაში არსებული საავტომობილო პარკის მოვლა-შენახვას ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში და მის მაქსიმალურად გამოყენებას;

გ) უზრუნველყოფს მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოებას და მათს კულტურულ მომსახურებას, სამინისტროს სისტემაში შემავალ საწარმოთა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადასაზიდი ტვირთების დროულად მიტანასა და დაცვა-შენახვას;

დ) გამოსცემს დადგენილი წესით ინსტრუქციებს საავტომობილო ტრანსპორტზე წესრიგისა და მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ქონების მოვლა-პატრონობის, სანიტარიული და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის საკითხებზე;

ე) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით საავტომობილო ტრანსპორტის ობიექტების: ავტოვაგზლების, სამგზავრო ავტოსადგურების, სატვირთო ავტოსადგურების, გარაჟების, ავტოსარემონტო ქარხნებისა და სახელოსნოების, სალტესარემონტო ქარხნების, შინასაგარაჟო ბენზინგასაწყობი სადგურების, დამხმარე სადგომების, სასწავლო კომბინატებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საპროექტო დავალებებს, ტექნიკურ და ტექნიკურ-სამუშაო პროექტებს; დაამტკიცებს დადგენილი წესით ქალაქ თბილისის კომუნალური მშენებლობის დარგის ობიექტების (ტრამვაისა და ტროლეიბუსის ხაზების, დეპოების, წევის ქვესადგურების და ა. შ.) მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

ვ) განახორციელებს სამინისტროს სისტემის გაერთიანებათა, სამმართველოთა, ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა საწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოო-ტექნიკურ ხელმძღვანელობას; დანერგავს მოწინავე ტექნიკას, გამოგონებებს, ტექნიკურ გაუმჯობესებებს, უფრო სრულყოფილ ტექნოლოგიურ პროცესებს, საწარმოო პროცესთა მექანიზაციასა და ავტომატიზაციას; შეიმუშავებს და განახორციელებს საწარმოო გამოცდილების გაზიარების ღონისძიებებს;

ზ) განახორციელებს სამინისტროს სისტემაში ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერების გადიდება, საავტომობილო პარკისა და მექანიზმების გამოყენების გაუმჯობესება, ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ხარისხის ამაღლება, ტვირთზიდვისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება, ავტოსაწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის რენტაბელობის უზრუნველყოფა;

თ) მოაწყობს ტვირთის ცენტრალიზებულ გადაზიდვას საავტომობილო ტრანსპორტით ქალაქებში და ქალაქებს შორის. ხელს შეუწყობს მოკლე მანძილზე გადასაზიდი ტვირთების გადაცემას რკინიგზიდან საავტომობილო ტრანსპორტზე, განახორციელებს ღონისძიებებს სატვირთო ავტომობილების ცარიელი გარბენის გამოყენების გასაუმჯობესებლად;

ი) განახორციელებს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკთა შერჩევას დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად; განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამინისტროს სისტემის ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და მშენებლობათა კადრებით დაკომპლექტება, კადრების სწორად გამოყენება და მათი შრომის დისციპლინის განმტკიცება; კონტროლს გაუწევს ამ ღონისძიებათა შესრულებას საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ;

კ) განახორციელებს დადგენილი წესით ტექნიკურ ნორმირებას და გამომუშავების ნორმების გადასინჯვას და უზრუნველყოფს მათს შესრულებას; კონტროლს გაუწევს შრომის კანონმდებლობისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვას; უხელმძღვანელებს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და კონტროლს გაუწევს მათს შესრულებას;

ლ) უხელმძღვანელებს სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის მიზანია საავტომობილო ტვირთზიდვის, წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, ტვირთზიდვის, პროდუქციისა და სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება, ნედლეულის, მასალების, საბობის ელექტროენერგიის ეკონომია;

მ) უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სასწავლო კომბინატს, განახორციელებს სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს მისი მუშაობისადმი;

ნ) მოაწყობს და ხელმძღვანელობას გაუწევს ავტოსატრანსპორტო საწარმოთა, ორგანიზაციათა და სამინისტროს სისტემაში განხორციელებული მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას:

ო) დააფინანსებს დადგენილი წესით ორგანიზაციებს, საწარმოებს, დაწესებულებებს და მშენებლობას სამინისტროს სისტემაში და ხელმძღვანელობას გაუწევს საქვეუწყებო ობიექტების საფინანსო საქმიანობას;

პ) მოაწყობს საბუღალტრო აღრიცხვას და კონტროლს გაუწევს აღრიცხვა-ანგარიშგების დაყენებას სამინისტროს სისტემაში, დაამტკიცებს სამინისტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებსა და ბალანსებს, შეამოწმებს და გააანალიზებს მათს კრებსით და საბუღალტრო ანგარიშებს, შეადგენს პერიოდულ და წლიურ საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშებს საწარმოო საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით, განახორციელებს საფინანსო კონტროლს და ჩაატარებს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიებს სამინისტროს ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში;

ჟ) შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით ყველა სახის საავტომობილო ტვირთზიდვის, აგრეთვე სატრანსპორტო-საექსპედიციო, სასაწყობო, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სხვა ოპერაციების ტარიფების პროექტებს, არასტანდარტული მოწყობილობის ფასების პროექტებს;

რ) შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით სამინისტროს სისტემაში დამზადებული პროდუქციის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების პროექტებს, აგრეთვე სამინისტროს სისტემის სატრანსპორტო საწარმოთა მიერ მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს;

ს) ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოო-ტექნიკური გაერთიანების „ავტოტრანსტექნიკის“ საქმიანობას, წარმართავს მას საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და რემონტის ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად.

11. მუშათა, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მოწინავე გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, მისი გაერთიანებანი მოიწვევენ აქტივის თათბირებს, რომლებზეც მოისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე განიხილავენ საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის საკითხებს.

12. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან შეიქმნება ტექნიკური საბჭო, რომლის შემადგენლობას დაამტკიცებს მინისტრი.

13. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშათა რიცხოვნობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

14. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

---

111 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 2 ივნისის № 349 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-ჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 16 დეკემბერი, № 818.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 16 დეკემბრის № 818 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტი — საქართველოს სსრ შრომსახკომი არის საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო.

საქართველოს სსრ შრომსახკომს ეკისრება პასუხისმგებლობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შრომისა და შრომითი რესურსების გამოყენების დარგში ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებისათვის.

2. საქართველოს სსრ შრომსახკომის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— შეიმუშაოს და განახორციელოს შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების მობილიზაციის, შრომის პირობების, შინაარსის, ორგანიზაციისა და ნორმირების გაუმჯობესების ღონისძიებანი; ხელი შეუწყოს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას;

— უზრუნველყოს შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, მოსახლეობის რაციონალური დასაქმება და მისი შრომითი მოწყობა, გაანაწილოს და გადაანაწილოს მუშახელი;

— კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა მუშაობას შრომის დარგში;

— განახორციელოს კონტროლი შრომის საკითხებზე, წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, შეიმუშაოს შესაბამისი წინადადებანი.

3. საქართველოს სსრ შრომსახკომი და მისი ადგილობრივი ორგანოები მათთვის დაკისრებულ ამოცანებს წყვეტენ საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებისა და პროფკავშირული ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით და მათთან ურთიერთმოქმედებით.

საქართველოს სსრ შრომსახკომში შრომის ძირითადი საკითხების განხილვისას მონაწილეობენ შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოებისა და კომიტეტების წარმომადგენლები.

4. საქართველოს სსრ შრომსახკომი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) მოამზადებს წინადადებებს ხუთწლიანი და წლიური სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით შრომის ნაყოფიერებისა და მეცნიერული ორგანიზაციის, შრომითი რესურსების ბალანსის, წარმოებაში კადრების მომზადების ნაწილში, მონაწილეობას მიიღებს ამ გეგმების განხილვაში და წარუდგენს მათ გამო დასკვნებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

ბ) განახორციელებს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად და პროფკავშირთა შესაბამისი საბჭოებისა და კომიტეტების მონაწილეობით მუშაობას შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოსავლენად და გამოსაყენებლად (მისი ორგანიზაციის, ნორმირებისა და პირობების გაუმჯობესება, სამუშაო დროისა და მოწყობილობის უფრო სრული გამოყენება, სოციალისტური შეჯიბრების განვითარება, შრომის დისციპლინის განმტკიცება):

გ) განახორციელებს მუშაობას ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში შრომითი რესურსების მდგომარეობის შესაფასებლად და ამის საფუძველზე მოამზადებს წინადადებებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მათი რაც შეიძლება მიზანშეწონილი გამოყენებისათვის, საზოგადოებრივ წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის რაციონალური დასაქმებისათვის, საგეგმო ორგანოებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს დარგებსა და რაიონებს შორის მუშახელის გადასანაწილებლად წარმოების მოთხოვნილებებისა და არსებული შრომითი რესურსების გათვალისწინებით;

დ) მონაწილეობას მიიღებს ახალი საწარმოების განლაგების, მოქმედის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გეგმათა პროექტების, რაიონული დაგეგმარების სქემებისა და ქალაქების განვითარების გენერალური სქემების განხილვაში, გასცემს მათ გამო დასკვნებს არსებული შრომითი რესურსებისა და მათი რაც შეიძლება სრული და რაციონალური გამოყენების გათვალისწინებით; განიხილავს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უმნიშვნელოვანესი ასამოქმედებელი ობიექტებისა და მოქმედი საწარმოების უზრუნველყოფას კადრებით და საჭირო შემთხვევებში გაუწევს მათ დახმარებას მუშახელით დაკომპლექტებაში:

ე) საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, სახელმწიფოებრივ კონტროლს გაუწევს მუშახელის გამოყენებას, მუშა-მოსამსახურეთა ფიცხოვნობის შესაბამისობას შრომის გეგმასთან, კადრების დენადობის შემცირების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ახლად ასამოქმედებელი საწარმოების მუშათა კადრებით უზრუნველყოფას; წარუდგენს სამინისტროებს, უწყებებსა და საგეგმო ორგანოებს წინადადებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ;

ვ) ორგანიზაციას გაუწევს და სრულყოფს მოსახლეობის შრომითს მოწყობას რესპუბლიკაში საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, განახორციელებს საინფორმაციო-საცნობარო მუშაობას არსებული თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და ვაკანტური თანამდებობების შესახებ, მიიღებს ზომებს ამ მუშაობაში კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე საშუალებათა გამოყენებისათვის. განახორციელებს დადგენილი წესით მუშაობას საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამამთავრებელი ახალგაზრდობის შრომითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყობისათვის, აგრეთვე კონტროლს წარმოებაში მისი გამოყენებისა და შენარჩუნებისადმი;

ზ) შეიმუშავებს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან ერთად და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის შრომსახკომს მუშათა ორგანიზებული შეგროვების, აგრეთვე მოსახლეობის გადასახლება-დასახლების გეგმათა პროექტებს; გასცემს დასკვნებს გადასახლება-დასახლების მშენებლობის გეგმის პროექტის გამო, რომელსაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეიმუშავებს;

თ) განახორციელებს მუშათა ორგანიზებულ შეგროვებას და მოსახლეობის გადასახლება-დასახლებას კადრებზე საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილების და მათ მისაღებად მზადყოფნის გათვალისწინებით, კონტროლს გაუწევს სამეურნეო ორგანოების მიერ იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომ შეუქმნან მუშებს სათანადო საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, აგრეთვე მისცენ მათთვის დაწესებული შეღავათები; სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებთან და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად გააკონტროლებს ჩასასახლებელი მოსახლეობისათვის აშენებული სახლების გამოყენების სისწორეს;

ი) განიხილავს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ დადგენილი წესით წარდგენილ წინადადებებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა დანერგვის პერსპექტიული და წლიური გეგმების შესახებ, გასცემს მათ გამო დასკვნებს, კონტროლს გაუწევს ამ გეგმების შესრულებას, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და ნორმირების სფეროს გაფართოების ღონისძიებათა განხორციელებას, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გამოყენებას, ცენტრალიზებული წესით შემუშავებული ნორმატივებისა და ნორმების დანერგვას, აგრეთვე შრომითი დანახარჯების მოქმედი ნორმების დროულად გადასინჯვას;

კ) განახორციელებს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად კონტროლს შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი;

ლ) კონტროლს გაუწევს დამტკიცებული სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების, პრემირების სისტემების, სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარების, აგრეთვე შრომის ანაზღაურების პირობების მარეგლამენტებელი სხვა ნორმატიული მასალების გამოყენების სისწორეს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ) განახორციელებს კონტროლს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში კადრების მომზადებისა და წარმოებაში მათი კვალიფიკაციის ამაღლების გეგმების შემუშავებისა და შესრულებისადმი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესაბამისად;

ნ) მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების დაგეგმვის პრაქტიკის შესწავლასა და განზოგადებაში, აგრეთვე საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად განახორციელებს ღონისძიებებს საქართველოს სსრ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების სრულყოფისათვის;

ო) შეისწავლის და განაზოგადებს შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების, მისი ნაყოფიერების გადიდების, შრომითი რესურსების გამოყენების, წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში სადარგთაშორისო მნიშვნელობის მქონე მოწინავე გამოცდილებას, შეიმუშავებს წინადადებებს ამ გამოცდილების გავრცელებისათვის;

პ) განახორციელებს კონტროლს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირების ცენტრების, ლაბორატორიების, სადგურების საქმიანობისადმი, წარუდგენს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადებებს ამ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

ჟ) განახორციელებს დადგენილი წესით კავშირურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნებთან იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ შრომსახკომის კომპეტენციას განეკუთვნება;

რ) მოაწყობს დადგენილი წესით საქართველოს სსრ შრომსახკომის საქვეუწყებო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას.

5. საქართველოს სსრ შრომსახკომს მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად და მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად უფლება ენიჭება:

ა) შეამოწმოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობა; მისცეს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი შემოწმების დროს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხოლო საჭირო შემთხვევებში წარუდგინოს ზემდგომ ორგანოებს წინადადებანი იმის შესახებ, რომ დააკისრონ დისციპლინური პასუხისმგებლობა დაშვებული დარღვევებისათვის დამნაშავე ხელმძღვანელებსა და სხვა თანამდებობის პირებს; მიიზიდოს შემოწმებების ჩასატარებლად სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სპეციალისტები;

ბ) შეაჩეროს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა იმ ბრძანებებისა და ინსტრუქციების მოქმედება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან შრომისა და მისი ანაზღაურების კანონმდებლობას, ხოლო საჭირო შემთხვევებში წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მათი გაუქმების შესახებ, რასაც აცნობებს სსრ კავშირის შრომსახკომს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან შრომისა და მისი ანაზღაურების კანონმდებლობას, საქართველოს სსრ შრომსახკომი აცნობებს სსრ კავშირის შრომსახკომს;

გ) მოისმინოს კომიტეტის სხდომებზე საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშები და მოხსენებანი იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ შრომსახკომის კომპეტენციას განეკუთვნება;

დ) დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს სამუშაოთა შესრულება შრომის პრობლემებზე, რაც საქართველოს სსრ შრომსახკომის კომპეტენციას განეკუთვნება, მათთან შეთანხმებით მიიზიდოს ამ პრობლემების შესამუშავებლად საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები, აგრეთვე მეცნიერები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები;

ე) მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებისაგან სტატისტიკური მონაცემები შრომისა და მისი ანაზღაურების, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციის შესახებ და სხვა საკითხებზე, აგრეთვე სამინისტროებისაგან, უწყებებისაგან, საწარმოებისაგან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან — საჭირო მასალები, რომლებიც საქართველოს სსრ შრომსახკომის კომპეტენციას განეკუთვნება;

ვ) შეიტანოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით ცვლილებანი ორგანიზებული შეგროვების წესით მუშათა გაგზავნის, აგრეთვე მოსახლეობის გადასახლება-დასახლების გეგმებში;

ზ) შეაჩეროს, ცალკეულ შემთხვევებში კი შეწყვიტოს დადგენილი წესით მუშათა გაგზავნა ორგანიზებული შეგროვებით ან მოსახლეობის გადასახლება-დასახლება (მუშახელზე საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამატებითი მოთხოვნილების უქონლობის, მუშებისა და გადასასახლებელი მოსახლეობის მისაღებად მათი მოუმზადებლობის, სახელშეკრულებო პირობების დაუცველობის გამო და ა. შ.), რის შესახებაც შემდგომ აცნობოს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს;

თ) დააწესოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუშაობის ორგანიზაციის სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს მოსახლეობის ინფორმირებას თავისუფალი სამუშაო ადგილების, ვაკანტური თანამდებობების არსებობის შესახებ და საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სამუშაოდ მიღების პირობებს შრომითი მოწყობის, მუშათა ორგანიზებული შეგროვებისა და ოჯახების სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების წესით;

ი) მოიწვიოს დადგენილი წესით კონფერენციები და თათბირები, მოაწყოს გამოფენები შრომის ორგანიზაციის, ნორმირების, მისი პირობების დარგში მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინავე გამოცდილების საჩვენებლად და სხვა საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ შრომსახკომის კომპეტენციას განეკუთვნება.

6. საქართველოს სსრ შრომსახკომის და მისი ადგილობრივი ორგანოების თანამდებობის პირებს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად უფლება აქვთ დაუბრკოლებლივ შევიდნეს დადგენილი წესით საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, დაათვალიერონ საწარმოო, სამსახურებრივი და საბინაო-საყოფაცხოვრებო სადგომები, გაეცნონ საანგარიშგებო, სტატისტიკურ და სხვა დოკუმენტებსა და მასალებს იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ შრომსახკომის კომპეტენციას განეკუთვნება;

7. საქართველოს სსრ შრომსახკომი განაზოგადებს მისი კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე რესპუბლიკაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად წინადადებებს ამ კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ და წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ან სსრ კავშირის შრომსახკომს.

8. საქართველოს სსრ შრომსახკომი, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების შრომის ორგანოები და მათდამი დაქვემდებარებული დაწესებულებები და ორგანიზაციები შეადგენენ საქართველოს სსრ შრომსახკომის სისტემას და შედიან სსრ კავშირის შრომსახკომის ერთიან სისტემაში.

საქართველოს სსრ შრომსახკომი ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის შრომსახკომს.

საქართველოს სსრ შრომსახკომი ხელმძღვანელობს შრომის ადგილობრივი ორგანოების და კომიტეტისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

შრომის ადგილობრივი ორგანოები ექვემდებარებიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ შრომსახკომს.

შრომის ადგილობრივი ორგანოების დებულებანი, მათი სტრუქტურა და მუშაკთა რიცხოვნობა დამტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით, ამ ორგანოთა ტიპობრივი სტრუქტურებისა და რიცხოვნობის ნორმატივების მიხედვით.

9. საქართველოს სსრ შრომსახკომი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის შრომსახკომის დადგენილებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას საქართველოს სსრ შრომსახკომის სისტემის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

10. საქართველოს სსრ შრომსახკომი მისი კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე გამოსცემს დადგენილებებს, განმარტებებსა და ბრძანებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და უწყებებისათვის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, ხოლო საჭირო შემთხვევებში გამოსცემს დადგენილებებს, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად.

11. საქართველოს სსრ შრომსახკომი უზრუნველყოფს მოქალაქეთა წერილების (წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების) დროულად და ყურადღებით განხილვას, ამასთან აღწევს ამ წერილებში აღძრული იმ საკითხების სწორად გადაწყვეტას, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება.

12. საქართველოს სსრ შრომსახკომი დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს მისთვის დაწესებული შრომის გეგმისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე დაამტკიცებს ამ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დებულებებს (წესდებებს).

13. საქართველოს სსრ შრომსახკომი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად დანიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, თავმჯდომარის მოადგილეები (თანამდებობის მიხედვით), რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, და კომიტეტის წევრები, რომლებსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ შრომსახკომის თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მოვალეობებს გაანაწილებს კომიტეტის თავმჯდომარე.

14. საქართველოს სსრ შრომსახკომის თავმჯდომარე სათავეში უდგას კომიტეტს და პერსონალურად პასუხისმგებელია კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, განსაზღვრავს თავმჯდომარის მოადგილეებისა და კომიტეტის წევრების, სამმართველოთა, განყოფილებათა უფროსებისა და კომიტეტის სხვა ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას მისი ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ შრომსახკომის სისტემაში შემავალი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ შრომსახკომის თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს და გასცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ შრომსახკომის სისტემაში შემავალი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

15. საქართველოს სსრ შრომსახკომი რეგულარულად მოწვეულ თავის სხდომებზე განიხილავს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მისი პირობების, ორგანიზაციისა და ნორმირების გაუმჯობესების, მოწინავე გამოცდილების გავრცელების, წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, მოსახლეობის შრომითი მოწყობის, მუშახელის განაწილებისა და გადანაწილების, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, მიღებულ გადაწყვეტილება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა შესრულების შემოწმების საკითხებს, აგრეთვე სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება.

16. საქართველოს სსრ შრომსახკომთან შეიქმნება შრომის სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ექნება სექციები ცალკეულ პრობლემებზე.

სამეცნიერო საბჭოს პერსონალურ შემადგენლობასა და დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ შრომსახკომის თავმჯდომარე.

17. საქართველოს სსრ შრომსახკომის ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის შრომსახკომთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ შრომსახკომის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს დაამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე.

18. საქართველოს სსრ შრომსახკომს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

ინდექსი — 76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 1977 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/IV-78 წ. ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 2,5. სააღრიცხვო თაბახი 2,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 200 УЕ — 01056 ტირაჟი 2190

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

6 58/129

ეროვნული
ბიბლიოთეკა